ევროკავშირი საქართველოსთვის

Project funded by the European Union

INDEPENDENT JOURNALISTS' HOUSE

IJH

KONRAD ADENAUER STIFTUNG

აჭარის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების

საინფორმაციო ცნობარი

CSRDG

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ctc Empowering People for Change

EDEC

Institut für Europäische Politik

ეს საინფორმაციო ცნობარი შექმნილია ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით, პროექტის "**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის"* ფარგლებში.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

© 2022 თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

ადამიანები მოქმედებაში

ორგანიზაციის მიზანია ფსიქიკური სერვისების მიმღები ქალბატონების დასაქმება, მათი რესოციალიზაცია, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება. ბენეფიციარების ჩართულობით, ორგანიზაცია ამზადებს პურ-ფუნთუშეულსა და ტკბილეულს.

ბათუმი, კახაბრის ქუჩა №36
577 13 99 01
dolidze.m@gmail.com

ასოციაცია „ბიო - სუბტროპიკი“

ორგანიზაცია საქმიანობს ბიოლოგიურად სუფთა სუბტროპიკული პროდუქციის მწარმოებელ ფერმერთა მხარდაჭერისა და ბიო-მეურნეობების განვითარების მიმართულებით. შესაბამისად, ახორციელებს ბიო-სუბტროპიკული კულტურების წარმოების ხელშეწყობისა და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

ბათუმი, ნესტორ მალაზონიას ქუჩა №18
593 54 67 77
tamo.lastakanidze@gmail.com
facebook: ასოციაცია ‘‘ბიო სუბტროპიკი“

ასოციაცია “ფლორა და ფაუნა”

ორგანიზაცია მუშაობს გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასოციაცია ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და საინფორმაციო კამპანიებს შავი ზღვის ეკოსისტემის დაცვისა და შენარჩუნების მიმართულებით.

ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №11, ბ.5
577 46 51 46
k.guchmanidze@gmail.com

აფალინა

ფონდის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა: განათლება და კულტურა. ორგანიზაცია ახორციელებს უცხო ენების შემსწავლელ საგანმანათლებლო კურსებს. ასევე, ტურიზმის განვითარების მიზნით, ფონდი მართავს მუსიკალურ ფესტივალებს.

ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №14ა
599 56 47 55
manelishvilieter2@gmail.com

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის

ორგანიზაცია მუშაობს დემოკრატიული ტრადიციების, პოლიტიკური პარტიებისა და ადგილობრივი დემოკრატიის გასაძლიერებლად. ამ მიზნით, ახორციელებს სამოქალაქო განათლების პროგრამებს.

ბათუმი, 26 მაისის ქუჩა №31
599 49 66 30
contact@eecmd.org
eecmd.org

ახალგაზრდები საზოგადოებრივი ინტერესებისთვის

ორგანიზაცია მუშაობს ახალგაზრდებისა და ქალთა პიროვნული და პროფესიული გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით. დაინტესებულ პირებს სთავაზობს პროფესიული განვითარების ტრენინგებსა და კონსულტაციებს.

ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №11
591 05 78 50
organization.ypi@gmail.com
facebook: ახალგაზრდები საზოგადოებრივი ინტერესებისთვის

აჭარის დემოკრატიული განვითარების ცენტრი

ცენტრის მიზანია ფემინისტური პლატფორმის ჩამოყალიბება. ფემინისტური სამართლიანობის პერსპექტივით, ცენტრი მართავს ღონისძიებებს ცნობიერების ამაღლებისა და საზოგადოების მობილიზაციის მიმართულებით. ასევე, ქალებს სთავაზობს მხარდამჭერ და უსაფრთხო სოციალურ სივრცეს. ფემინისტური პლატფორმის წევრებისთვის, ცენტრი ატარებს საგანმანათლებლო შეხვედრებს.

ქობულეთი, თამარის სანაპირო №88
592 13 23 12
ddcageorgia@gmail.com
facebook: დემოკრატიის და თანასწორობის ცენტრი

აჭარის მხატვართა შემოქმედებითი კავშირი

ორგანიზაცია მართავს გამოფენებსა და პლენერებს აჭარაში მოღვაწე მხატვრების შემოქმედების წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით.

ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №16
593 35 81 99

აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაცია

ასოციაციის მიზანია ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე მეფუტკრეთა ინტერესების წარმოჩენა და დაცვა. საქმიანობის მიმართულებებია: ასოციაციის წევრთა საქმიანობის მხარდაჭერა და მათი განვითარება; უცხოურ კომპანიებთან კავშირების დამყარების ხელშეწყობა; რეკომენდაციების მომზადება; ორგანიზაციული და სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა; აჭარის რეგიონში მოქმედ მეფუტკრე ფერმერთა ერთიანი ბაზის შექმნა; სტრატეგიული გეგმის შემუშავება; უფასო კონსულტაცია; პროდუქციის რეკლამირება; ტრენინგები და სემინარები; უფასო ინტერნეტი და კომპიუტერული მომსახურება.

- ბათუმი, ახმედ მელაშვილის ქუჩა №26
- 591 96 08 88
- abba.api@yahoo.com
- facebook: აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაცია

ახალგაზრდების განვითარების ქსელი

ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებია: ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობა; ინოვაციური იდეებისა და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა; საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება. ორგანიზაციის დახმარებით, ახალგაზრდებს შეუძლიათ გამოიმუშაონ ფსიქოლოგიური, საგანმანათლებლო და ეკონომიკური უნარ-ჩვევები. ასევე, გაძლიერდნენ პროფესიის არჩევის, მომავლის დაგეგმვის, პროფესიული პრობლემების გასაჯაროებისა და მოგვარების მიმართულებით.

- ბათუმი, პეტრე ჩაიკოვსკის ქუჩა №76
- 558 69 80 98
- youthdevelopmentn@gmail.com
- facebook: Youth Development Network

ახალი თაობა მთიანი აჭარისათვის

ორგანიზაცია მუშაობს ფორმალური და არაფორმალური განათლების საკითხებზე. დაინტერესებულ პირებს კონსულტაციას უწევს ტურიზმის მიმართულებით. ასევე, მართავს საინფორმაციო შეხვედრებს ქალთა უფლებებზე.

შუახევი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №2
577 20 22 54
rusoruso1975@gmail.com

ბათუმის ამერიკული კუთხე

ამერიკული სტილის საჯარო სივრცე, თანამედროვე ბიბლიოთეკა და საზოგადოებრივი დაწესებულება 6000-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკისა და ჟანრის წიგნით და 500-ზე მეტი აუდიო-ვიდეო მასალით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, ამერიკულ კუთხეში შეუძლია შეიძინოს ცოდნა და გაიუმჯობესოს სხვადასხვა უნარ-ჩვევები სპეციალურად შემუშავებული სასწავლო მოდულების მქონე ტრენინგებსა და ვორქშოფებში მონაწილეობით. ასევე, გაიუმჯობესოს ინგლისური ენის ცოდნა, ისარგებლოს ინტერნეტითა და კომპიუტერული ტექნიკით.

ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა №21
0422 27 21 62
batumiamericancorner@gmail.com
facebook: American Corner Batumi

ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი

ცენტრის მიზნებია: ახალგაზრდების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; მოსახლეობის სათემო ჩართულობის ამაღლება. საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა აჭარის სკოლებში სამოქალაქო განათლების გაძლიერება.

ბათუმი, გამსახურდიას ქუჩა №13
593 73 02 93
maya.katamadze@gmail.com
bedecorg.wordpress.com

ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი

წარმოადგენს პოლიტიკურად ნეიტრალურ სათემო ცენტრს, რომლის მიზანია თვითმმართველობის პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობისა და პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობა. ასევე, ცენტრი სთავაზობს სივრცეს მოქალაქეებს, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მედია საშუალებებს, პროფესორ-მასწავლებლებს, პოლიტიკურ პარტიებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებსა და ყველა დაინტერესებულ პირს, განურჩევლად მისი პოლიტიკური და სოციალური კუთვნილებისა.

ბათუმი, 26 მაისი ქუჩა №31
596 10 91 10
tdiasamidze@ncce.ge
ncce.ge

ბათუმის ველომოყვარულთა ქსელი

ბათუმის ველომოყვარულთა კლუბ Love to Ride Batumi-ის ქოლგის ქვეშ მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტით გადაადგილებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. აქტიურად მუშაობს დონორ ორგანიზაციებთან. კერძოდ, გერმანელ პარტნიორებთან ერთად, ჩართულია ბათუმის ველოსისტემის გეგმის შექმნაში და წარმოადგენს ადგილობრივ საკონსულტაციო ჯგუფს ველოქსელისა და ველოსისტემის დაგეგმარების ნაწილში.

ბათუმი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №119-121
557 23 33 63
ana.niqabadze.95@gmail.com
facebook: Love to Ride Batumi

გადასხვაფერდი

ორგანიზაციის მთავარი მიზანია მაღალმთიან აჭარაში მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურება და გაძლიერება, პროფესიული და პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარება და ძლიერი სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბება.

შუახევი, სოფელი ჩანჩხალო, VIII ჩიხი, № 3
577 39 81 71
beka1.diasamidze@gmail.com
facebook: გადასხვაფერდი

განვითარებისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის კავშირი "პროგრესი"

ორგანიზაციის მიზანია თავისუფალი, თანასწორი, სამართლიანი და დემოკრატიული პრინციპების მქონე საზოგადოების მშენებლობისა და განვითარების ხელშეწყობა. კავშირი მუშაობს სახელმწიფო ინსტიტუტებში დემოკრატიული მართვისა და მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობის, ასევე, ქალთა და ახალგაზრდების სოციალური, ეკონომიკური და სამოქალაქო უფლებების განვითარების მიმართულებით.

ბათუმი, ყაზბეგის ქუჩა №8
593 25 70 40
gabunia.n@gmail.com

განვითარების ტალღა

ორგანიზაცია ხელს უწყობს: დემოკრატიის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების კვლევას; განსხვავებული შეხედულებების მქონე ჯგუფებს შორის დიალოგს; საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და მოქალაქეების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას.

დაბა ქედა, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №10
591 98 07 37
wave.development21@gmail.com
facebook: განვითარების ტალღა

გარემოს დაცვა, საზოგადოება და სამართალი

ორგანიზაცია მუშაობს გარემოს დაცვის სფეროში. საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა: მოსახლეობის ინფორმირება გლობალური დათბობის, კლიმატური ცვლილებებისა და სასოფლო-სამეურნეო მცენარეებზე რადიაციის გავლენის შესახებ.

ბათუმი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №23
577 17 39 05
rtavaartkiladze1956@gmail.com

დემოკრატიის და ეფექტური მმართველობის ცენტრი

ცენტრი მუშაობს დემოკრატიული პროცესების, ეფექტური მმართველობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად.

ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №21
591 60 90 05
degc.ge@gmail.com

დემოკრატიის ინსტიტუტი

ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას და დაიცვას ადამიანის უფლებები. ამჟამად, ინსტიტუტი მოქალაქეებს სთავაზობს შემდეგ სერვისებს: კონსულტირება სამართლებრივ საკითხებზე; ინიციატივებისა და პრობლემების ადვოკატირება; საგრანტო ხელშეწყობა; სტაჟირება - შეგირდობის პრინციპით (ბათუმი, ქობულეთი, ქედა).

ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქუჩა №107, ბ.14
0422 27 57 44
info@iod.ge
iod.ge

ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად

მუშაობს ბოშათა და სხვა ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ადვოკატირების, ასევე, მათი სოციალიზაციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიმართულებით. საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და სამიზნე ჯგუფების სოციალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზაცია ახორციელებს ტრენინგებსა და სხვადასხვა პროექტს.

ქობულეთი, კაიკაციშვილის ქუჩა №319
577 30 41 70
nargizj224@gmail.com
facebook: ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დასაცავად

ეკოვიტა

ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებია: გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება; სოფლის მეურნეობისა და ბიოწარმოების განვითარება. ამ მიმართულებით, „ეკოვიტა“ ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას: ბიოწარმოების პრაქტიკის მოდელირება; მეტყევეობა და ტყის დაავადებების მართვა; ნარჩენების უტილიზაციის პრაქტიკის შემუშავება.

ბათუმი, კახაბრის ქუჩა №2, ჩიხი 9
599 80 04 70
Vitalikilasonia1@gmail.com

ეკო-აჭარა

ორგანიზაციის საქმიანობის მიზანია ახალგაზრდების გადამზადება ეკოლოგიისა და სოფლის მეურნეობის სფეროში. ორგანიზებას უწევს დასუფთავების აქციებს და ახორციელებს ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისთვის.

ბათუმი, ბათუმი, ტაბიძის ქუჩა №17
555 38 83 15

ველური ბუნების დაცვის საზოგადოება „ჭაობი“

ორგანიზაცია მუშობს ნარჩენების მართვის, ველური ბუნების კონსერ-ვაციისა და გონივრული გამოყენების მიმართულებით. ახორციელებს: სამეცნიერო კვლევებს; ეკოლოგიურად და ეკონომიკურად მომგებიან სოციალურ პროექტებს; ამზადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტს.

ხელვაჩაური, სოფელი აგარა
593 30 39 57
lazikaizo@gmail.com

თანადგომა

წარმოადგენს საინფორმაციო, სამედიცინო-ფსიქოლოგიურ ცენტრს, რომელიც ხელს უწყობს ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელი საზოგადოების ჩამოყალიბებას, სადაც დაცულია ადამიანთა ჯანმრთელობის უფლება, განათლების სისტემაში დანერგილია სქესობრივი აღზრდა და მოქალაქეებს ხელი მიუწვდებათ რეპროდუქციული ჯანმრთელობის ეფექტურ მომსახურებაზე. ორგანიზაცია მოსახლეობას სთავაზობს შემდეგ სერვისებს: ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და უფლებების დაცვა (პრევენციული სერვისები); აივ ტესტირება და კონსულტირება; ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; ტრენინგები; შემთხვევების მართვა. ცენტრი აერთიანებს ექიმებს, ფსიქოლოგებსა და სოციალურ მუშაკებს.

ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა №35
0422 27 52 13
batumi@tanadgoma.ge
tanadgoma.ge

იალქანი

ორგანიზაცია არის ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის კომიტეტის წევრი, რომლის მიზანია: თავშესაფრის გარეშე დარჩენილი, კანონისა და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ბავშვებზე ზრუნვა; ძალადობის მსხვერპლთა უფლებების დაცვა; ჯანდაცვასა და განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. ორგანიზაცია მუშაობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და მარტოხელა დედების ადვოკატირებისა და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით.

ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა №31
574 24 07 07
ialqani@gmail.com
facebook: არასამთავრობო ორგანიზაცია იალქანი

იყავი აქტიური, იყავი ჯანმრთელი

ორგანიზაციის მიზნებია: ქობულეთის არასაზღვაო ტურიზმის ხელშეწყობა; ადგილობრივი მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა და მათი ინიციატივების გაზრდა. ორგანიზაცია ახორციელებს პროფორიენტაციის სემინარებს და სასწავლო-შემეცნებით ტურებს ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე. ასევე, აქვს საერთაშორისო პროექტებისა და მასობრივი სპორტული ღონისძიებების ორგანიზების გამოცდილება. სპორტული ღონისძიებების განხორციელებით, ორგანიზაცია ხელს უწყობს ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას.

ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №4
595 25 55 81
officeguliveri@gmail.com

მაღალმთიანი აჭარის ახალგაზრდული კავშირი

კავშირის მიზანია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, ახალგაზრდების შესაძლებლობების გაზრდა. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები მოიცავს სხვადასხვა შემეცნებითი ღონისძიებების დაგეგმვას არაფორმალური განათლების, სპორტისა და კულტურის, აგრეთვე, გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

შუახევი, სოფელი ზამლეთი
599 85 20 95
mirian.ab1985@gmail.com
facebook: მაღალმთიანი აჭარის ახალგაზრდული კავშირი

მომავლის რწმენა

ორგანიზაცია მუშაობს ჯანდაცვის საკითხებზე. კერძოდ, ატარებს ტრენინგებს ჯანსაღი ცხოვრების წესის, ნარკომანიისა და შიდსის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. ასევე, ორგანიზაცია ახორციელებს აქტივობებს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირების მიზნით.

ბათუმი, შავშეთის ქუჩა №6, ბ.26
558 77 91 71

მტირალას და მაჭახელას დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაცია

ასოციაციის მიზანია ადგილობრივი თემის განვითარება გარემოს დაცვის მიმართულებით. ორგანიზაცია ახორციელებს პროექტებს, რომელთა მიზანია დაცული ტერიტორიების მდგრადობა და ეკოლოგიის საკითხებზე ახალგაზრდების განათლების ამაღლება.

ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №79
593 58 56 28
s_gulo@yahoo.com
mmpafa.ge

მშვიდობის ქარტია

ქარტია მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. ორგანიზაციის სამიზნე ჯგუფებია: ეკომიგრანტები; ვეტერანები; ხანდაზმულები; სოციალურად დაუცველი და უსახსროდ დარჩენილი ოჯახები; იძულებით გადაადგილებული და მზრუნველობას მოკლებული პირები.

ბათუმი, შავშეთის ქუჩა №15
595 91 67 00

მწვანე სექტორი

მწვანე სექტორის საქმიანობის ძირითადი მიზნებია: დემოკრატიული ღირებულებების გავრცელება; ეროვნული ინტეგრაციის პროცესის სტიმულირება; ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივიზმის განვითარება და მათი ეკონომიკური შესაძლებლობების ამაღლება; პროგრესული სოციალური ცვლილებების ადვოკატირება და მდგრადი ბუნებათსარგებლობის პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა. ორგანიზაცია ახორციელებს: სამოქალაქო განათლების სასწავლო-შემეცნებით კურსებს; აკვაკულტურის პროფესიულ-საკონსულტაციო მომსახურებას; ეკო-საგანმანათლებლო აქტივობებს; სამოქალაქო აქტივიზმის წამახალისებელ ინიციატივებს.

ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა №11, ბ.5
555 79 12 00
info.greensector@gmail.com
greensector.ge

ნაბიჯი წარმატებისკენ

ორგანიზაციის მიზანია განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ბენეფიციარების შემეცნებითი მოტივაცია. რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ორგანიზაცია ახორციელებს: სხვადასხვა პროექტს; ბანაკებს; თემატურ სკოლებს; ტრენინგებს; სემინარებსა და ვორქშოფებს. დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მოხალისეობრივ სერვისს და ამზადებს საინფორმაციო ბლოგებს რეგიონის მოსახლეობის შესახებ.

ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა №8
557 03 05 07
steptowardsuccess@hotmail.com
facebook: Step Toward Success

ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია "ფორეჯი"

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა: თევზმოშენების ხელშეწყობა და დამწყები ფერმერების ცნობიერების ამაღლება.

- ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №73
- 577 98 99 48
- sopho2626@gmail.com
- facebook: ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია "ფორეჯი"

ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის

ორგანიზაციის მიზანია ქალთა პოლიტიკური გაძლიერება. ქსელის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: გენდერული კვოტირების საკითხები; ქალთა საჯარო გამოსვლებისთვის საჭირო უნარების გაძლიერება; გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლება.

- ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა №47, ბ.9
- 577 22 28 04
- tamiladolidze63@gmail.com
- facebook: ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის

რეგიონალურ კორუფციასთან ბრძოლის ცენტრი

ცენტრი მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვისა და არჩევნების მონიტორინგის მიმართულებით. ამოწმებს სახელმწიფო თანხების მიზნობრივ ხარჯვასა და სხვადასხვა კომპანიის მიერ მოგებული ტენდერის შესრულებას.

ბათუმი, ბათუმი, ტაბიძის ქუჩა №17
555 38 83 15

საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი

ცენტრის მიზანია: ბიზნესის, მეწარმეობისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა. ამ სფეროში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, კვალიფიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება. ორგანიზაცია სთავაზობს დაინტერესებულ პირებს კონსულტაციებს მარკეტინგის, ბიზნეს გეგმისა და პროექტის განაცხადის მომზადების მიმართულებით. ასევე, ატარებს ტრენინგებს მარკეტინგის, ტურისტული სერვისების განვითარების, პროექტების მართვისა და ბიზნესის დაგეგმვის მიმართულებით.

ბათუმი, შავშეთის ქუჩა №19
599 48 21 81
ibdipc@gmail.com
ibdipc.org

საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველო

ორგანიზაციაში შესაძლებელია შემდეგი სერვისების მიღება: უფასო იურიდიული კონსულტაცია; სასამართლო წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ დავებსა და საჯარო სამსახურიდან გათავისუფლების დროს; ორგანიზაციის სამოქალაქო საბჭოების ჩართულობით, თემში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემის გადაჭრის ადვოკატირება.

ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №75, ბ.12
595 22 56 50
malkhaz.chkadua@transparency.ge
transparency.ge

საერთაშორისო განათლების ცენტრი

კონსულტაციას უწევს საზღვარგარეთ (ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში) განათლების მიღების ან კვალიფიკაციის ამაღლების მსურველებს, რითაც ხელს უწყობს განათლების ინტერნაციონალიზაციას და სტუდენტთა მობილობას. ცენტრი წარმოადგენს საგანმანათლებლო ქსელის - „განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში“ ოფიციალურ წარმომადგენელს. ბათუმის ოფისში ფუნქციონირებს TOEFL IBT-ის ავტორიზებული საგამოცდო ცენტრი.

ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35, I კორპუსი, აუდიტორია №26
577 41 85 25
nino_inaishvili@osgf.ge
cie.ge

საზოგადოება “ბათომი”

ორგანიზაციის მიზნებია: კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობის განვითარება. შესაბამისად, მისი საქმიანობა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: საგანმანათლებლო-შემეცნებითი; სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობითი; ექსპერტიზა; ადვოკატირება; მონიტორინგი; მემკვიდრეობის პოლიტიკის საკითხების განხილვა.

ბათუმი, ალექსანდრე ჩხაიძის ქუჩა №8, ბ.21
577 41 85 25
nino_inaishvili@yahoo.com
facebook: საზოგადოება ბათომი

საზოგადოება “ბათუმელი”

ორგანიზაციას განხორციელებული აქვს საპატიო ბათუმელისა და ბათუმქალაქობის პროექტები. ჩართულია საზოგადოებრივ პროცესებში, სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებისა და ფესტივალის დაგეგმვაში.

ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №10
577 58 04 00
sazogadoebabatumeli@gmail.com

საზოგადოებრივი განვითარების აკადემია

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: საკრებულოს წევრთა გაძლიერება; მონიტორინგი და მხარდაჭერა; საკრებულოსა და საქართველოს პარლამენტის სხდომებში მონაწილეობა და მათი წევრებისთვის გამოცდილების გაზიარება; თვითმმართველობის და ლიდერობის სკოლების ორგანიზება.

ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა №111
577 21 04 04
info@cda4you.com
cda4you.com

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს არჩევნებისა და საერთო სახალხო გამოკითხვის მონიტორინგი. ასევე, ახორციელებს სამოქალაქო განათლების, ადგილობრივი თვითმმართველობის მონიტორინგისა და რეფორმის ხელშეწყობის სხვადასხვა პროექტს; ჩართულია სოციალური მედიის მონიტორინგის პროცესში. ორგანიზაცია უფასო იურიდიულ დახმარებას უწევს სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულ პირებს და რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში ჰყავს მუდმივი, ადგილობრივი წარმომადგენელი.

ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა №65
593 57 48 57
batumi@isfed.ge
isfed.ge

სამედიცინო ასოციაცია "თანა”

ასოციაცია მუშობს შშმ პირთა ჯანმრთელობისა და განათლების დონის ამაღლებაზე. დღის ცენტრების მომსახურების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია: 6-18 წლამდე მოზარდებისთვის ფსიქოლოგის, ნერვოპათოლოგის, მეტყველებისა და ფიზიკური თერაპევტის მომსახურება; ბავშვთა ფიზიკური და სოციალური რეაბილიტაცია. გარდა ამისა, ორგანიზაცია ხელს უწყობს თავშესაფრის გარეშე დარჩენილ დედათა და ბავშვთა განათლებასა და დასაქმებას.

ბათუმი, სათნოების ქუჩა №1, ჩიხი 5
599 58 69 88
tanabatumi@gmail.com
facebook: რეაბილიტაციის ცენტრი თანა

სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი

პედაგოგთა ფორუმის მიზნებია: სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება; მასწავლებელთა პროფესიული ზრდისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა; დემოკრატიული ღირებულებების მქონე აქტიური საზოგადოების ჩამოყალიბება. ფორუმი ახორციელებს: ტრენინგებს; ვორქშოფებს; სემინარებს; პროფესიული ცოდნის გაზიარებისა და მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრებს; აცხადებს სხვადასხვა მიმართულებით კონკურსებს.

ქობულეთი, ამაღლების ქუჩა №1
577 10 87 70
memarne.iamze@teachers.gov.ge
ctf.org.ge

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი

ორგანიზაცია საქმიანობს შემდეგი მიმართულებით: საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერება და საარსებო გარემოს გაუმჯობესება; სამოქალაქო საზოგადოების განვითარება; არაფორმალური განათლება; ანგარიშვალდებულება და გამჭირვალობა; ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება; მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდაჭერა.

ბათუმი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა №59, ბ.18
599 77 71 85
adjara@civilin.org
civilin.org

საორსა

ორგანიზაცია კონსულტაციას უწევს ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებს. ეხმარება ქალებს პროფორიენტაციასა და კარიერულ დაგეგმარებაში, დასაქმებისათვის საჭირო უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებაში. „საორსა“ დაინტერესებულ პირებს სთავაზობს შემდეგი სახის სერვისებს: კარიერული განვითარების კურსი; სტაჟირებისა და დასაქმების პროგრამა; ორგანიზაციული სტრუქტურის გამართვა.

ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქუჩა №91ა
558 10 14 34
saorsageorgia@gmail.com
facebook: საორსა

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია

წარმოადგენს პროფესიულ-შემოქმედებით ორგანიზაციას, რომლის მიზნებია: კავშირის წევრთა პროფესიული უფლებებისა და ინტერესების დაცვა; ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობისა და თანამედროვე არქიტექტურის პოპულარიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. არქიტექტორებს სთავაზობს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, შემოქმედებითი კონტაქტების შეძენას, კონკურსებისა და გამოფენების მოწყობას. ახორციელებს არქიტექტორებისა და არქიტექტურული ობიექტების სახელმწიფო ჯილდოებსა და პრემიებზე წარდგენას.

ბათუმი, გენერალ მაზნიაშვილის ქუჩა №32
574 08 37 37
spg.ajara@gmail.com
archunion.ge

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ორგანიზაცია ემსახურება ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამკვიდრებასა და ადამიანის უფლებების დაცვას. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია) აკვირდება და მონიტორინგს უწევს ქვეყანაში მიმდინარე არჩევნების პროცესს. საიას აჭარის ფილიალში მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ უფასო იურიდიული კონსულტაცია. სტუდენტებს აძლევს საშუალებას გაიღრმავონ ცოდნა და განავითარონ იურისტის პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

ბათუმი, ვახტანგ გორგასალის ქუჩა №89
577 07 05 80
batumi@gyla.ge
gyla.ge

საქართველოს მუსლიმთა კავშირი

წარმოადგენს კულტურულ-რელიგიურ ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მუსლიმებს და იცავს მათ ინტერესებს. ორგანიზაცია საქმიანობს საქველმოქმედო, რელიგიური და საგანმანათლებლო მიმართულებით.

ბათუმი, ვახტან გორგასალის ქუჩა №1, ბ.1
577 47 65 07
nakaidzetariel@gmail.com
islam.ge

საქართველოს საზოგადოებრივი მონიტორინგის ცენტრი

ორგანიზაციის მიზანია მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა. ასევე, მონიტორინგს უწევს სახელმწიფოს ცენტრალური, ავტონომიური და ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამებსა და პროექტებს. ცენტრი მუშაობს შშმ პირების, მოხუცების, ბავშვების, დევნილების, ძალადობის მსხვერპლთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა და ადვოკატირების მიმართულებით.

ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №135
595 08 26 86
pmcginfo2021@gmail.com

საქართველოს ყრუთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია

ორგანიზაცია სმენადაქვეითებულ პირებს აწვდის შემდეგ სერვისებს: დოკუმენტების თარგმნა; შესაბამის უწყებებში შუამდგომლობით მიმართვა, ყოფითი თუ სხვა სახის პრობლემების გადაჭრის მიზნით.

- ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №21
- 591 71 88 57
- guloamaglobeli@gmail.com
- facebook: საქართველოს ყრუთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ადგილობრივი ორგანიზაცია

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება არის მოხალისეობრივი, ჰუმანიტარული, დამოუკიდებელი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს, როგორც ხელისუფლების დამხმარე ორგანიზაცია ჰუმანიტარული საქმიანობის სფეროში. ყოველდღიურად, ახორციელებს სხვადასხვა აქტივობას ადამიანთა სოციალური, მენტალური და ფიზიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

- ბათუმი, მემედ აბაშიძის ქუჩა №4
- 577 94 03 33
- nmamulaishvili1@gmail.com
- redcross.ge

სთეფ ფორვარდი

ორგანიზაცია საქმიანობს შემდეგი მიმართულებით: მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხარისხიანი ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის გაზრდა; სმენის დარღვევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის სადიაგნოსტიკო, სარეაბილიტაციო და საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; სმენის დარღვევის ადრეული დიაგნოსტირება; სმენისა და მეტყველების აბილიტაცია და რეაბილიტაცია.

ბათუმი, ხარიტონ ახვლედიანის ქუჩა №14ა, ბ.4
0422 27 55 47
info@stepforward.org.ge
stepforward.org.ge

სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია

ორგანიზაცია მუშაობს ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. ახორციელებს არჩევნების, სოციალური დაწესებულებების, სხვადასხვა კონკურსებისა და ატესტაციების მონიტორინგს.

ბათუმი, შავშეთის ქუჩა №15
593 28 87 23

სმენის არმქონე/პრობლემების მქონე ბავშვთა და მშობელთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია

ორგანიზაცია ხელს უწყობს სმენადაქვეითებულ ბავშვთა და მათ წარმომადგენელთა ინტეგრირებას სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით, მათ შორის ჟესტური ენის სწავლებით.

- ბათუმი, მელიქიშვილის ქუჩა №42, ბ.20ა
- 598 09 29 91
- mzimeladze@gmail.com
- facebook: სმენის არმქონე/პრობლემების მქონე ბავშვთა და მშობელთა უფლებების დაცვა

სოციალური ინიციატივების ალიანსი

ალიანსის მიზანია: სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება; საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა. საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიმართულებაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების“ (DCFTA) იმპლემენტაცია. ალიანსი იურიდიულ კონსულტაციას უწევს შრომით მიგრანტებსა და ეკომიგრანტებს, მცირე ბიზნესით და DCFTA-ს საკითხებით დაინტერესებულ მოქალაქეებს. ახალგაზრდებსა და ქალებს სთავაზობს თვითგანვითარების ტრენინგებსა და საზოგადოებრივ აქტივობებში მონაწილეობას.

- ბათუმი, 9 მარტის ქუჩა №16
- 577 29 34 82
- teonakakatsidze@gmail.com
- facebook: სოციალური ინიციატივების ალიანსი

სოციალური კვლევის ცენტრი

ცენტრი ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს და ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, ატარებს სამეცნიერო კონფერენციებსა და დისკუსიებს. ასევე, ორგანიზაცია შეიმუშავებს რეკომენდაციებს სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ბათუმი, ტაბიძის ქუჩა №1, ჩიხი 24
577 21 00 19
murmantsetskhladze.info@gmail.com

სტუდენტური კვლევის ცენტრი "ახალი ხედვა"

ცენტრის მიზანია სტუდენტთა სამეცნიერო უნარ-ჩვევების განვითარება. საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა: საჯარო ლექციების, ეკონომიკური კვლევებისა და სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება.

ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა, №32/35
577 21 00 19
murman.tsetskhladze@bsu.edu.ge

ტურიზმის ინსტიტუტი

ორგანიზაციის მიზნებია: ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; მომიჯნავე დარგების ფუნდამენტური საკითხების საფუძვლიანი შესწავლა; მათთან დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუტებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. ინსტიტუტი ახორციელებს საკონსულტაციო საქმიანობას და კვლევებს შემდეგი მიმართულებით: ტურიზმის მარკეტინგი (მათ შორის ციფრული); დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი; მონაცემთა დამუშავება და ტურიზმის სტატისტიკა.

ბათუმი,ზურაბ გორგილაძის ქუჩა №59
577 14 17 68
mamukabe@gmail.com
tourisminstitute.ge

ქედის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიზანია სოფლის განვითარების ხელშეწყობა და მოქალაქეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ახალგაზრდებისა და ქალების ჩართულობით, ჯგუფი ახორციელებს გარემოს დაცვის ღონისძიებებს. ორგანიზაციის აქტივობებში მონაწილეობენ როგორც საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, ასევე, რიგითი მოქალაქეები სხვადასხვა სფეროდან, მათ შორის: ფერმერები, მეწარმეები, სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი მაცხოვრებლები, სერვისების მიმწოდებლები, მედია ორგანიზაციები, ქალთა გაერთიანებები, ახალგაზრდები და შშმ პირები.

ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №10
577 17 37 06
kedalag@gmail.com
keda.ge

ქედის სათემო განათლების ცენტრი

ცენტრი ახორციელებს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენის კურსი; სამართლებრივი რჩევების კურსი; კომპიუტერის საოფისე პროგრამების კურსი; სატრანსპორტო საშუალების მართვის თეორიის კურსი; პროექტების წერის კურსი. ასევე, ქსოვა და ხელსაქმე (სუვენირების დამზადება). ორგანიზაციის ბაზაზე შექმნილია სოციალური საწარმო "შენზე მორგებული".

ქედა, სოფელი აგარა
599 27 95 62
aec.keda@gmail.com
facebook: CEC Keda-ქედის სათემო განათლების ცენტრი

ღორჯომის ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნაომარი“

ორგანიზაცია ახორციელებს მოსახლეობის ინფორმირებას სოფლის მეურნეობის საკითხებთან დაკავშირებით.

ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ღორჯომი
595 01 28 59
naomarikhulo@gmail.com
facebook: ღორჯომის ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნაომარი“

შავი ზღვის ეკო აკადემია

აკადემიის მიზნებია: ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; თანასწორუფლებიან გარემოში ცოდნასა და ურთიერთთანამშრომ-ლობაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბება. საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია: ნარჩენების მართვა; ბიომრავალფეროვ-ნების დაცვა და შენარჩუნება; კატასტროფების რისკის შემცირება; კლიმატის ცვლილება; წყლის რესურსების მართვა; ნიადაგების დეგრადაცია. ასევე, აკადემია ახორციელებს: საველე კურსებს; გამოფენებს; საინფორმაციო კამპანიებს; კონფერენციებს; სემინარებსა და ტრენინგებს; სამეცნიერო და საზოგადოებრივი აზრის კვლევებს; ორგანიზაციულ მხარდაჭერას; მონიტორინგსა და შეფასებას.

ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №79
577 42 39 27
ekhvedelidze@yahoo.com
bsea.ge

შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი

ფონდი წარმოადგენს აივ ინფიცირებულთა და შიდსით დაავადებულთა საკონსულტაციო ცენტრს. ასევე, ახორციელებს ფსიქოლოგიურ, იურიდიულ და სოციალურ კონსულტაციებს ინფიცირებული პირების, მათი ოჯახის წევრებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. ფონდი ეწევა შიდსით დაავადებულთა ბინაზე მომსახურებას.

ბათუმი, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა №35, ბ.2
593 75 46 70
aidsbatumi@yahoo.com
facebook: შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდი

ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ახალგაზრდული ორგანიზაცია საქმიანობს შემდეგი მიმართულებებით: შშმ პირთა უფლებების დაცვა; მათი ადაპტირების მიმართულებით, სახელმწიფო უწყებებისთვის გამოცდილების გაზიარება; იურიდიული კლინიკები/უფასო იურიდიული მომსახურება; დისკრიმინაციული ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება; მცირე გრანტები დამწყები შშმ პირთა ორგანიზაციებისთვის.

- ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №135
- 557 57 40 00
- cerbatumi@gmail.com
- facebook: ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის

წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდი

ფონდის მიზანია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება და სტიპენდიით უზრუნველყოფა. ასევე, დასაქმების ხელშეწყობა.

- ბათუმი, ეგნატე ნინოშვილის ქუჩა №35
- 577 14 54 00
- rokujava@gmail.com
- facebook ჯგუფი: წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდი

ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე"

ასოციაციის მიზანია ხანდაზმულთა და ქალთა სრულფასოვანი, ღირსეული ცხოვრების უზრუნველყოფის ხელშეწყობა. მათი უფლებების დაცვისა და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით, ასოციაცია ცდილობს სოციალურად დაუცველ ხანდაზმულთა პრობლემების წარმოჩენას, ოპტიმალური პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით.

ქობულეთი, მეგობრობის ქუჩა № 2, ბ.601
599 40 19 15
nanakalanda@yahoo.com
awa.org.ge

ხულოს ადგილობრივი განვითარების ჯგუფი

ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებებია: სოფლად ტურიზმის განვითარება; სოფლის მეურნეობა; კომუნალური და სოციალური ინფრა-სტრუქტურა; კულტურა; განათლება; სპორტი და ახალგაზრდობა; ჯანდაცვა; გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა; არასასოფლო-სამეურნეო მეწარმეობა. მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისთვის, ორგანიზაცია ახორციელებს საინფორმაციო კამპანიებს ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით.

დაბა ხულო, ტბელ აბუსერიძის ქუჩა №5
555 25 49 25
Khulolag@gmail.com
Khulolag.ge

თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი (აჭარის ჰაბი)

მემედ აბაშიძის ქუჩა №48

6010, ბათუმი, საქართველო

557 99 33 32

batumiijh@gmail.com

media.org.ge